საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N1916 2023 წლის 27 ოქტომბერი ქ. თბილისი

„სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს

არა უმეტეს 98 144 000 (ოთხმოცდათვრამეტი მილიონ ას ორმოცდაოთხი ათასი) ლარისა, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 6 250 000 (ექვსი მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 200 000 (ორი მილიონ ორასი ათასი) ლარისა;

გ) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 224 000 (ორი მილიონ ორას ოცდაოთხი ათასი) ლარისა;

დ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 665 000 (ორი მილიონ ექვსას სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

ე) სენაკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 4 680 000 (ოთხი მილიონ ექვსას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ვ) სამტრედიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 760 000 (ორი მილიონ შვიდას სამოცი ათასი) ლარისა;

ზ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 365 000 (ხუთი მილიონ სამას სამოცდახუთი ათასი) ლარისა;

თ) ტყიბულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 800 000 (ერთი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა;

ი) ოზურგეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 7 505 000 (შვიდი მილიონ ხუთას ხუთი ათასი) ლარისა;

კ) აბაშის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 610 000 (ერთი მილიონ ექვსას ათი ათასი) ლარისა;

ლ) ვანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 335 000 (ერთი მილიონ სამას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

მ) მესტიის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარისა;

ნ) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 670 000 (ერთი მილიონ ექვსას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ო) თერჯოლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 970 000 (ცხრაას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

პ) ბაღდათის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 685 000 (ექვსას ოთხმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჟ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 140 000 (სამი მილიონ ას ორმოცი ათასი) ლარისა;

რ) ჭიათურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 525 000 (ერთი მილიონ ხუთას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ს) ხონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 455 000 (ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ტ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 860 000 (რვაას სამოცი ათასი) ლარისა;

უ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 455 000 (ერთი მილიონ ოთხას ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ფ) ხობის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 725 000 (შვიდას ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ქ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 990 000 (ცხრაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ღ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 105 000 (ორი მილიონ ას ხუთი ათასი) ლარისა;

ყ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 935 000 (ერთი მილიონ ცხრაას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

შ) ონის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 145 000 (ორი მილიონ ას ორმოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჩ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 100 000 (სამი მილიონ ასი ათასი) ლარისა;

ც) მცხეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 430 000 (სამი მილიონ ოთხას ოცდაათი ათასი) ლარისა;

ძ) თიანეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 400 000 (ერთი მილიონ ოთხასი ათასი) ლარისა;

წ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 940 000 (ცხრაას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჭ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 780 000 (ერთი მილიონ შვიდას ოთხმოცი ათასი) ლარისა;

ხ) ბორჯომის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 990 000 (ერთი მილიონ ცხრაას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ჯ) ამბროლაურის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 025 000 (სამი მილიონ ოცდახუთი ათასი) ლარისა;

ჰ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 640 000 (სამი მილიონ ექვსას ორმოცი ათასი) ლარისა;

ჰ[1]) წალკის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 55 000 (ორმოცდათხუთმეტი ათასი) ლარისა;

ჰ[2]) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 460 000 (ხუთი მილიონ ოთხას სამოცი ათასი) ლარისა;

ჰ[3]) ყვარლის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 5 690 000 (ხუთი მილიონ ექვსას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[4]) სიღნაღის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 1 600 000 (ერთი მილიონ ექვსასი ათასი) ლარისა;

ჰ[5]) გურჯაანის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 2 620 000 (ორი მილიონ ექვსას ოცი ათასი) ლარისა;

ჰ[6]) საგარეჯოს მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[7]) ბოლნისის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 290 000 (ორას ოთხმოცდაათი ათასი) ლარისა;

ჰ[8]) თელავის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარისა;

ჰ[9]) ახმეტის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 600 000 (ექვსასი ათასი) ლარისა.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**